



## მისასალმებელი სიტყვა

ქრისტიანული სწავლების მიხედვით, წარმართულ სამყაროში რჩეულ პიროვნებათა შემოქმედებაში შეიმჩნეოდა საღმრთო ჭეშმარიტებასთან მიახლოებისა და ნაწილობრივი წვდომის ფაქტები. ამ მხრივ, სხვა ცივილიზაციებთან შედარებით გამორჩეული იყო ანტიკური საბერძნეთი და რომი.

ამიტომაც, სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ქრისტიანობის გავრცელების უპირველესი და უმთავრესი არეალი სწორედ რომის იმპერია გახდა. ქრისტეს ეკლესიამ, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სულიერებისა და ინტელექტის ერთიანობას, ანტიკური ფილოსოფიიდან და კულტურიდან გამოარჩია ის, რაც ღვთის შთაგონებით იყო შექმნილი და იგი ქრისტიანული ღვთისმეტყველებისა და კულტურის სამსახურში ჩააყენა.

ანტიკურ ფილოსოფიასთან პაექრობაში ქრისტიანული ცნობიერების გამარჯვების ერთ-ერთი ნიშანი იყო ის, რომ უკიდურესი სულიერი და ფიზიკური დევნისა და განადგურების პირობებში მყოფმა ქრისტიანებმა, არა მარტო შეინარჩუნეს სიცოცხლე და თვითმყოფადობა, არამედ იმდროინდელი მსოფლიოს უძლიერესი რომის წარმართული იმპერია, ყოველგვარი ზეწოლისა და ძალმომრეობის გარეშე, შეცვალეს ახალი რომის ანუ ბიზანტიის ქრისტიანული იმპერიით.

ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში უპრეცედენტო მაგალითი საზოგადოების მშვიდობიანი მენტალური, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებისა, თუმცა ამ მიზნის მიღწევას ათიათასობით ქრისტიანის სიცოცხლე შეეწირა. ბიზანტიის იმპერიაში ჭეშმარიტ სულიერებასთან კავშირში მყოფმა მეცნიერებამ და კულტურამ განვითარების უმაღლეს ხარისხს მიაღწია და დასაბამი მისცა ახალი ქრისტიანული ცივილიზაციის წარმოქმნასა და გავრცელებას მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

სამწუხაროდ, XIV-XV საუკუნეებიდან ევროპაში თავი იჩინა სეკულარულმა ტენდენციებმა, ანუ სასულიერო და საერო ცხოვრების გამიჯვნის სურვილმა. ეს სულისკვეთება პირველად აისახა აღორძინების ეპოქაში. ამ პროცესს ახასიათებდა ერთგვარი სირთულე და წინააღმდეგობრიობა. ერთის მხივ, ეს ეპოქა არ წყვეტდა კავშირს ქრისტიანობასთან და გარკვეული თვალსაზრისით ქრისტიანული ცივილიზაციის განვითარების ახალ ეტაპს წარმოადგენდა, მაგრამ ამავე დროს მასში თავი იჩინა ადამიანის ღვთისაგან დისტანცირების და ავტონომიურობის იდეამ. ეს იყო მცდელობა ქრისტიანობის ანტიკურ ღირებულებებთან შეთავსებისა.

სეკულარული ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა განმანათლებლობის ხანაში, XVII-XVIII საუკუნეებში. ამ ეპოქის მოაზროვნეებს გაუჩნდათ პრეტენზია, რაციონალური გონების საფუძველზე გარდაექმნათ სამყარო და დაემყარებინათ საყოველთაო კეთილდღეობა.

განმანათლებლები უაღრესად სეკულარული რელიგიურობის მომხრეები იყვნენ. ისინი ფაქტიურად ღმერთს ადგილს აღარ უტოვებდნენ საკაცობრიო ისტორიის პროცესში და ამ ქვეყნიერების მეურვედ და პატრონად ადამიანი მიაჩნდათ.

პირველი პერიოდის განმანათლებლებისაგან (ბეკონი, დეკარტე, ლოკი) განსხვავებით, ამავე მიმართულების მეორე პერიოდი (დიდრო, დალამბერი, ჰოლბახი, ჰელვეციუსი, კონდორსე, ვოლტერი, მონტესკიე) აგრესიული ათეიზმითა და ანტიკლერიკალიზმით ხასიათდება.

თანამედროვე მსოფლიოში სახეზეა ორი ფასეულობათა სისტემის - თეოცენტრიზმისა და ანტროპოცენტრიზმის - თანაარსებობა. ერთისთვის საზომი ჭეშმარიტებისა არის ღმერთი, ხოლო მეორისათვის - ადამიანი. თეოცენტრიზმი ადამიანში ხედავს ღვთის ხატებასა და მსგავსებას. სამყაროს განვითარება შეუძლებელია სინერჯის ანუ ღმერთთან ადამიანის თანაშემოქმედების გარეშე. ამგვარი მიდგომა არათუ აკნინებს ადამიანის დანიშნულებას და შესაძლებლობებს, არამედ განიხილავს მას, როგორც იმ არსებას, რომელსაც შეუძლია დადგეს საკუთარ თავზე მალა და გახდეს, ვითარცა ღმერთი, არა ბუნებით, არამედ მაღლით. ანტროპოცენტრიზმის შემთხვევაში, ადამიანი არათუ ვერ გადის სამყაროს საზღვრებიდან, არამედ იგი არის დაქვემდებარებული მიზეზ-შედეგობრიობისა და აუცილებლობის კანონებს.

მართალია ბოლო საუკუნეებში ჩვენ ვიხილეთ არნახული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მაგრამ მათ ფონზე განვითარებულმა უმძიმესმა საკაცობრიო ტრაგედიებმა დაგვარწმუნეს, რომ მხოლოდ მატერიალური სიმდიდრის დაგროვება არ არის გარანტია, კაცთა შორის მშვიდობისა და სათნოებისა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს, რომ დღეს კაცობრიობამ ძირითადი ყურადღება უნდა მიაქციოს სულიერი სიმდიდრის მოხვეჭას.

სულიერ და მატერიალურ ფასეულობებს შორის დარღვეული წონასწორობის აღდგენა იქნება ის ჭეშმარიტი სამიჯნველი, რის საფუძველზეც თანამედროვე მსოფლიო შესძლებს რთული პრობლემების მოგვარებას და სამშვიდობო გზების დასახვას. ვინაიდან სარწმუნოებისაგან მეცნიერების დაშორებამ გამოიწვია სასულიერო და საერო სფეროების გამიჯვნა, ხოლო შემდგომად ამისა - მათი დაპირისპირება, სწორედ ამიტომ სულიერებასა და ინტელექტს შორის ჰარმონიული კავშირის აღდგენა არის რეალური საშუალება საერთაშორისო თანამეგობრობის თანხმობისა და მშვიდობიანი განვითარებისა.

სეკულარიზაციის პროცესი მეტ-ნაკლებად ყველა ქრისტიანულ ქვეყანას შეეხო, მაგრამ მისი საწყისები ევროპაში იღებს სათავეს. ამ შემთხვევაში ჩვენ არ ვყოფთ ევროპას აღმოსავლურ და დასავლურ ნაწილებად. დღევანდელი კონფერენცია სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის მეცნიერები ერთობლივად აცნობიერებენ თავის პასუხისმგებლობას და სათავეში უდგანან სულიერებასთან დაბრუნების პროცესს.

თანამედროვე ფილოსოფიის ქრისტიანობისაგან დაცილების მიუხედავად, საეკლესიო სწავლება ჭეშმარიტების მარცვლებს აღმოაჩენს სეკულარი მსოფლმხედველობის მქონე

მეცნიერთა ნააზრევშიც, ისევე როგორც იგი გამოარჩევდა ჯანსაღ იდეებს ანტიკურ მემკვიდრეობაში. თანამედროვე ქრისტიანული სამეცნიერო აზრის ვალია, გაანალიზოს ცდომილი იდეები და განუმარტოს მათ ავტორებს, თუ რაშია მათი ხარვეზები და პირიქით, თუ სად არის მათი შეხების წერტილები სარწმუნოებასთან.

ჩვენი სამეცნიერო კონფერენციის მთავარი მიზანია დავანახოთ ევროპულ საზოგადოებას და მთელ მსოფლიოს, თუ რა როლი ითამაშა ქრისტიანობამ ინტელექტუალური კულტურის განვითარებაში: რომ ეს ორი სფერო არათუ უპირისპირდება, არამედ ავსებს ერთმანეთს; ასევე ჩვენ ცხადად უნდა ვაჩვენოთ, თუ რაოდენ სახიფათოა სარწმუნოებისა და მეცნიერების დაშორება, რისი ტენდენციაც სათავეს იღებს განმანათლებლობის ეპოქიდან, და რა სავალალო შედეგები შეიძლება ახლდეს ამ პროცესს. და ბოლოს, ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ ის გზები და საშუალებები, რომელიც სულიერი ფასეულობებისგან გაუცხოებული საზოგადოების წევრებს დაუბრუნებს საღმრთო და ადამიანური თანაშემოქმედების ანუ სინერგიის კულტურას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მშვიდობისა და კეთილდღეობის დაცვას ჩვენს პლანეტაზე.